საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის II ჩიხი, №2-ში (ს/კ 01.14.14.005.271), მრავფუნქციური კომპლექსის 'ც' ბლოკის პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის II ჩიხი, №2-ში (ს/კ 01.14.14.005.271), მრავფუნქციური კომპლექსის 'ც' ბლოკის პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი.

შენობა შედგება 4 ავტოფარეხის, 1 კომერციული და 13 საცხოვრებელი სართულისაგან.

პირობით ნიშნულად 0.000 მიღებულია I სართულის იატაკის ნიშნული, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 461,7 მ.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 1.1 მ სისქის საძირკვლის მონოლითური ფილისა და φ100 სმ, ℓ=16 მ სიგრძის მქონე ხიმინჯების ერთობლიობა.

საძირკვლის მონოლითური ფილა დაფუძნებულია III სგე-ზე- ტბიური ჰორიზონტის ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხოვან გრუნტზე (ფენა 4). საანგარიშო წინაღობით R0=2,5 კგძ/სმ^2. ფილის ქვემოთ მოწყობილია ხრეშ-კენჭნაროვანი საკომპენსაციო ბალიში, სისქით 30 სმ.

ხიმინჯები დაფუძნებულია II ტბიური ჰორიზონტის ლურჯ თიხოვან გრუნტზე (ფენა 5) 2,0-3.0 მ სიღრმეზე ჩამაგრებით. საანგარიშო წინაღობით R_0=3.0 კგძ/სმ^2.

სარდაფის კედლები – რკინაბეტონის მონოლითური, სისქით 30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი:

მონოლითური სვეტები – კვეთით (50X100, 50X90, 50X80, 50X70, 50X60, 50X50) სმ;

რიგელები – კვეთით (50X60. 40X60, 30X60, 20X60) სმ.

დიაფრაგმები – სისქით 25 სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით 18 სმ.

კარკასის შევსება წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ.

კიბის კონსტრუქცია – რკინაბეტონის მონოლითური.

კორექტირების შედეგად შენობას ემატება 1 საცხოვრებელი სართული

შესაბამისად 1 სართულით ზემოთ იწევს ლიფტის სამანქანო განყოფილება და კიბის უჯრედის გადახურვა.

დამატებული სართულის ვერტიკალურ მზიდ კონსტრუქციას '2-3' და 'გ-ე' ღერძებს შორის წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური სვეტები კვეთით 50X50. დამატებული სართულის დანარჩენ ნაწილში ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს ლითონის ნაგლინი პროფილი (მილკვადრატები, ორტესებრი კოჭები და შველერები). სახურავის კონსტრუქცია 2 ქანობიანია და შესრულებულია ლითონის მილკვადრატების მეშვეობით. სახურავის გადახურვა ეწყობა სენდვიჩპანელების მეშვეობით.

კედლების შევსება უნდა მოხდეს სენდვიჩპანელებით და მსუბუქი შემავსებლის საშუალებით.

ვინაიდან დამატებულის სართულის ყველა კონსტრუქციაში და შემავსებელში გამოყენებულია მსუბუქი მასალა შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენობის მდგრადობას და მზიდუნარიანობას საფრთხე არ ემუქრება.

საპროექტო შენობის და დამატებული სართულის პროექტის კონსტრუქციების გაანგარიშებები ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით, შესაბამისად, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და პროექტს ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

საკონსტრუქტორო განყოფილების
მთავარი სპეციალისტი გ.რეხვიაშვილი

06.07.2023 წ.